რელიგია და კულტურა

მამა ლევანი (მეჭოშვილი), ჯვართამაღლების ტაძრის მღვდელი

კულტურა პირველქმნილი ცოდვის შედეგია. იქიდან მოყოლებული ის ქმნის მეორად სამყაროს, მეორად რეალობას. ცოდვის შედეგად ადამიანი და სამყარო მთლიანად შეირყვნა, არ დარჩა არც ადამიანის სულში (ისევე, როგორც სხეულში) და არც სამყაროში ისეთი კუთხე-კუნჭული, რასაც ცოდვის ხელი არ შეეხო.

თუმცა, პირველ ადამიანებს ახსოვდათ უცოდველი სამყაროს სიმფონია ადამიანსა და ღმერთს შორის, ადამიანსა და ხილულ სამყაროს შორის და თვით ადამიანის სულიერ ძალებს შორის. ისინი მისტიროდნენ ძველ მდგომარეობას და ცდილობდნენ დაებრუნებინათ ძველი ნეტარება. კულტურის მეშვეობით ადამიანი ხან ნოსტალგიას გამოხატავდა პირველი ცხოვრებისადმი, ხანაც რეალობაში სურდა განეხორციელებინა მიუწვდომელი ოცნება – **დედამიწაზე სამოთხის შექმნა** (იდეა კომუნიზმის შესახებ).

ცოდვის შედეგად ღმერთი უცხო გახდა ადამიანისთვის. სამოთხეში ადამიანი ხედავდა ღმერთს, მასთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა, ე.ი. შეიძლება ვთქვათ, მასთან მუდმივ ზიარებაში იმყოფებოდა. სამოთხის დატოვების შემდეგ, ადამიანი ღმერთს დაშორდა და დაიწყო მასზე ფიქრი, მასზე ლაპარაკი. გონებაში აღადგენდა იმ სურათებს, რომელიც მათ ერთობას გამოხატავდა. დღესაც, სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, **რომ ჩვენ ღმერთის შესახებ ცოდნის გამოცდილებას უფრო ვაგროვებთ, ვიდრე ღმერთთან თანაზიარების სურვილს გამოვხატავთ.**

ღმერთთან საუბარს, ანუ ჭეშმარიტ ლოცვას, ღმერთზე ლაპარაკი გვირჩევნია. ჩვენ ღმერთთან თანაზიარობა რომ არ დაგვეკარგა, არც სახარების ქადაგება იქნებოდა საჭირო და, მითუმეტეს, არც საღვთისმეტყველო ტრაქტატების წერა. ადამიანს ღმერთის სახე არ უნახავს და მას გამოხატავს ხატწერაში ან საღვთისმეტყველო წერილებში. ე.ი. კულტურა თვით ქრისტიანულიც, ადამიანის დასნეებოვნებული ბუნებიდან გამომდინარეობს. სურათი, ხატი, სახება გვესაჭიროება მაშინ, როდესაც გვერდით ძვირფასი არსება არ გვყავს. როგორც აპოკალიფსი გვაუწყებს ზეციურ იერუსალიმში ხელქმნილი ტაძარი არ იქნება: **„ტაძარი კი ვერ ვიხილე მასში, რადგან მისი ტაძარი ყოვლისმპყრობელი უფალი ღმერთია და კრავი“ (გამოცხ**. 21_{22}), ცხადია, არც ხატების და არც საღვთისმეტყველო წიგნების საჭიროება გვექნება, რადგანაც მაშინ „პირისპირ“ ვიხილავთ ღმერთს, საჭირო აღარ იქნება სარკეში ღვთის ანარეკლის ხილვა. კულტურით ღმერთის შემეცნება ალბათ იგივე იქნება, რასაც პავლე მოციქული სარკეში უფლის დიდების დანახვაზე საუბრობდა.

როგორც ღმერთის შესახებ სწავლებას არ შეუძლია შეცვალოს ღმერთთან ჭეშმარიტი ზიარება, ისე კულტურა ვერ შეძლებს იმ განხეთქილების სრულყოფილად აღდგენას, რაც დაემართა ადამიანის სულს და გონებას. ცოდვამ ადამიანთა გაუცხოებაც გამოიწვია: **„და დაინახეს, რომ შიშვლები იყვნენ და გადააკერეს ლეღვის ფოთლები და არდაგები გაიკეთეს“** (დაბ. 3.7). კულტურის ერთ-ერთი დანიშნულება ადამიანთა შორის გართულებული ურთიერთობის აღდგენაა. ამ სიძნელიდან თავის დასაღწევად კულტურა გვთავაზობს თავის საშუალებებს: **მუსიკას, მხატვრობას, კინოს და სხვა.** ესა თუ ის კულტურა ადამიანის შინაგანი თუ გარეგანი სამყაროს ანარეკლია. იგი გადმოსცემს საზოგადოების სიხარულს და ტკივილს, რატომაა ყველაფერი კლასიკური მიმზიდველი? ალბათ იმიტომ, რომ მასში

ღვთის ძიებაა, დაკარგული გზის ძიებაა, რომელიც დაცემული ადამიანის სულიერი თუ ფიზიკური, გონებრივი შესაძლებლობების მრავალფეროვნების, სიკეთისა და ბოროტების მარადიული ჭიდილით ხელოვნების ფონზე ვლინდება.

კულტურას ქმნის ადამიანი, ხოლო რელიგია ადამიანს აზიარებს იმას, რაც კულტურის მიღმა დგას, რაც ადამიანურ შესაძლებლობებს აღემატება. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ დაცემულ სამყაროში არა მხოლოდ ზეციური პურით ცოცხლობს კაცი. მის სამშვინველს (სულის შემადგენელ ნაწილს) მოთხოვნილება გააჩნია, რომლის ერთ-ერთი მკვებავი კულტურაა. **ქრისტიანობა სულაც არ ებრძვის კულტურას, მისი დანიშნულებაა სამყაროს ფერიცვალება, ყველაფრის „განღმრთობა“.** გავიხსენოთ ქრისტეს იგავი ცომისა და საფუარის შესახებ, ცომს თუ საფუარი არ აურიე მცხობელი სასურველ შედეგს ვერ მიიღებს, ასევე სამყაროში არსებული **„ინსტიტუტები“** თუ არ განიღმრთო, ფუჭი იქნება მათი დანიშნულება. მართალია, მეორედ მოსვლის შემდეგ, კულტურის ფუნქცია უკვე ამოწურული იქნება, მაგრამ მანამდე ის კაცობრიობას აუცილებლად სჭირდება. „კულტურულ პროგრესზე“ უფრო ძვირფასი წინსვლა ელოდება კაცობრიობას, ამიტომ ამოწურავს იგი არსებობას ისტორიის ბოლოს. **ხოლო სანამ არ დამდგარა ეს ჟამი, ქრისტიანს აქვს უფლება ისწავლოს და ასწავლოს, იმსახუროს სახელმწიფო სტრუქტურებში, დაეუფლოს სხვადასხვა პროფესიას, იყიდოს და გაყიდოს, შექმნას ოჯახი და დატკბეს თავისი შვილების წარმატებით, წიგნები წეროს და მოუსმინოს მუსიკას.** სამოთხეში კულტურის საჭიროება არ ყოფილა, არც ზეციურ იერუსალიმში დაგვჭირდება ის, მაგრამ სანამ ამ დაცემული ქვეყნის შვილები გვქვია, უნდა შევქმნათ კულტურის ნიმუშები და გამოვიყენოთ ისინი. როგორც აღვნიშნეთ – **კულტურა დაცემული ადამიანის შემოქმედებაა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი ცოდვაა.** ცოდვის შედეგად ჩვენი სხეული დასნებოვნდა და მოკვდავი გახდა, მიუხედავად ამისა, პავლე მოციქული მას **„სულიწმიდის ტაძრად რაცხს“** (1 კორ. 6_{19}). დაცემის შედეგად, ადამიანის გონება დიდი წვალების და ფიქრის შედეგად პოულობს ღმერთს, მაგრამ მამებიდან არავინ ამბობს, რომ განსჯა და ლოგიკური აზროვნება ცოდვაა.

ხელოვნება ადამიანს გარკვეული დოზითაც მიანიჭებს კურნებას. მაკურნებელი წამლის დაწუნება და გადაგდება კი არ იქნება. კულტურა ყავარჯნის როლს ასრულებს, ხოლო გამოჯანმრთელებამდე ყავარჯენზე უარის თქმა უგუნურება იქნებოდა. ეკლესია ადამიანს მის ნამდვილ დანიშნულებას მიუთითებს და ამ მიზნის განსახორციელებლად კულტურაზე ბევრად მეტის გაკეთება შეუძლია, თუმცა, ხელოვნების და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები ეკლესიის მხრიდან არ ყოფილა დაგმობილი. რა თქმა უნდა, **რაც მეტად სულიერია ადამიანი, ნაკლებად ფასობს მისი ინტელექტი, მაგრამ თუ სულიერების საფეხურზე ჯერ არ ავსულვართ სჯობს განათლებით „მოვიწონოთ“ თავი. ქრისტიანის ერთ-ერთი დანიშნულება სულაც არაა მხოლოდ ღმერთზე ფიქრი, მოყვასის შეცნობა და მისი გულის ზრახვების გაგებაც არ უნდა დაგვავიწყდეს**, რაც ბრწყინვალედ აქვთ გადმოცემული ჩვენს თანამედროვე ქართველ მწერლებს. თუმცა, რელიგიური მოტივები თითქმის შეუმჩნეველია მათ უმრავლესობის შემოქმედებაში, მაგრამ ადამიანის დანახვა როგორადაც არიან ისინი გადმოცემული ნაწარმოებებში, მხოლოდ ქრისტიანული ტრადიციებით (სინანულით, მიტევებით) თუ იქნება შესაძლებელი. **ადამიანი შეიძლება ეკლესიის წევრად ითვლებოდეს, მაგრამ წარმართული ცხოვრების წესით ცხოვრობდეს. ხოლო ნომინალური ქრისტიანები, ან ისინი, ვინც ფორმალურად (ალბათ, უფრო ძალდატანებით) ეწინააღმდეგებოდნენ კიდეც სახარებას, ნამდვილად ქმნიდნენ ქრისტიანული კულტურის ნიმუშებს**. ამის მაგალითია ჩვენი XX ს-ის კინემატოგრაფია, ლიტერატურა და ფილოსოფიაც კი. ადამიანის სული ნათლობისას უცბად ვერ შეიმოსება ქრისტეს ნათლით. ამას დიდი ხნის

მოღვაწეობა და თავგანწირვა სჭირდება. როგორც ჩანს, უცბად არ ხდება ადამიანის სულიერი დეგრადაციაც, ის დიდხანს ინარჩუნებს ღვთის ხატებას და უცბად არ კვდება მასში სუფთა სინდისის ხმა. ისე რომ, ჩვენს ქვეყანაზე მოწევნული ათეისტური ხანა მხოლოდ უარყოფითი შემოქმედებით როდი ხასიათდება. კარგი და სასარგებლო ყველაფერში უნდა ვეძებოთ. **წმ. იოანე ოქროპირი** თავის ერთ-ერთ ქადაგებაში კი უღმერთოებისადმი მიბაძვასაც გვირჩევს, იმ გაგებით, რომ როგორი გულმოდგინებით აღასრულებენ ისინი თავიანთ საქმეს, ასეთივე მონდომება ჩვენც რომ გამოგვეჩინა საღვთო საქმეებში არ გვაწყენდა. თესალონიკელებისადმი პავლე მოციქულის წერილიც ამას გვიდასტურებს: **„ყველაფერი გამოსცადეთ, კეთილს ჩაეჭიდეთ“** (1 თეს.5_{21}). წმ. **ბასილი დიდი** ახალგაზრდებს ერთ-ერთ წერილში მიუთითებს, თუ წარმართთა ნაწარმოებებიდან რა უნდა შეითვისონ და რა განაგდონ. ღირსი **გრიგოლ ხანძთელი** ხომ ყველაფერზე დაკვირვების შედეგად „ჯერკვალს“ განაგდებდა და კეთილს შეითვისებდა.

დროის დინების შესაბამისად, კულტურაც იცვლება. ამა თუ იმ მიმდინარეობაში ის შეიძლება დაიხვეწოს და საუკეთესო სახითაც წარმოგვიდგეს ან პირიქით, ისეთი ცვლილება განიცადოს, რომ სრულიად უგემოვნო სახე მიიღოს. კლასიკური წიგნების გვერდით ყოველთვის ცოცხლობს ვულგარული ლიტერატურაც, შედევრების გვერდით, ხშირად უსახო სახეები გამოიფინება, ნაზი მუსიკის პარალელურად ხშირად ხმაური ისმის. კულტურას ყველა ეპოქაში ესაჭიროება დაცვა და ეს თითოეული პიროვნების ვალია. კლასიკურ ხელოვნებაზე აღზრდილი მოზარდისთვის ღვთაებრივი ჭეშმარიტების მიღებაც აღვილია. ასეთები მყარად იკიდებენ ფეხს ეკლესიაში და ნაკლებადაა საშიშროება მისგან წასვლისა. მოდერნიზმი მუსიკის, მხატვრობის, ლიტერატურის ჰარმონიას და ფორმას არღვევს. ჰარმონიის შესანარჩუნებლად კი მყარი საფუძველია საჭირო, რომელიც ახალ-ახალი ქარიშხლებით არ შეირყევა. ოჯახი და საგანმანათლებლო კერები უნდა იქცეს ჭეშმარიტი კულტურის კარებად. **სატელევიზიო გადაცემები და საგაზეთო პუბლიკაციები ძირითადად სენსაციური ამბების გადმოსაცემად მზადდება. ერთი და იგივეს ჩვენებითა (ტელესერიალები, პოლიტიკური ღანძღვა-გინება) და ბეჭდვით, თანამედროვე ადამიანმა ხანდახან ნამდვილად უნდა თქვას უარი ასეთ თანამედროვეობაზე და გახდეს არისტოტელეს და ნეტარი ავგუსტინეს, მაქსიმე აღმსარებლისა და ჰომეროსის, ვაჟა-ფშაველას და დოსტოევსკის** თანამედროვე. ადამიანი ბუნებით შემოქმედი არსებაა, ის მუდამ უნდა ქმნიდეს საჭიროს და აუცილებელს საზოგადოებისთვის, არ უნდა დათანხმდეს უხეშად შემოთავაზებულ „სილამაზეს“, რომლის მიღმაც შხამი იმალება. ჩვენი ვალია შვილები დავარწმუნოთ იმაში, რომ ისტორია მათით არ იწყება. უნდა დაიჯერონ, რომ მათ გვერდით მყოფი ადამიანების გარდა, კიდევ არსებობდნენ ღირსეული ადამიანები, რომელთა ცხოვრებისეული გამოცდილება ყურადსაღებია.

ნამდვილად არსებობს ღირებულებათა იერარქია, ხოლო მათი თანასწორობა ნამდვილად მიუღებელია: არ შეიძლება მართლმადიდებლობა და ჯადოქრობა ერთ დონეზე დავაყენოთ, ბეთჰოვენის შემოქმედებას დისკო და რეპი გავუთანაბროთ.

ხელოვნების ზოგიერთი სახეობა შეიძლება შეიწყნაროთ, ზოგიც შევიყვაროთ. მათ შორის არიან **კარგებიც** და **უკეთესნიც.** სასურველია, რომ ყველა მათგანს თავისი ადგილი ჰქონდეს მიჩნეული, ხოლო შეუწყნარებელია, როცა მდარე ხარისხის ხელოვნებას დიდ მიღწევებზე აქვს პრეტენზია. ღირებულებების განსაზღვრას ხშირად „კონფლიქტიც“ ახლავს



თან. ზოგჯერ ძნელია განსაზღვრო, რაა უკეთესი საკუთარი თავისთვის ან მოყვასისთვის. ზოგჯერ ისიც ხდება, როცა იცი უკვე რაა უმჯობესი, მაგრამ გიჭირს შედარებით ღირებულ ფასეულობასთან განშორება. სახარებაში ამ საკითხზე ასე საუბრობს ქრისტე: **„თუ ვინმე მოვა ჩემთან და არ მოიძულებს თავის მამას და დედას, ცოლსა და შვილებს, ძმებსა და დებს, საკუთარ სულსაც კი, იგი ვერ გახდება ჩემი მოწაფე“** (ლკ. 14_{26}). აქ სიძულვილს კი არ გვინერგავს უფალი, არამედ სიფხიზლისკენ მოგვიწოდებს. **ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის არის მომენტები, როცა მან ნათესაურ ღირებულებებს, სულიერი ფასეულობა უნდა ამჯობინოს. მთავარის დაკარგვას სჯობს დროებითზე ვთქვათ უარი, ხოლო თანამედროვე „პლურარისტებისთვის“ ყველაფერი ერთნაირად ღირებულია, ყველაფერი მისაღებია, მათთვის კულტურის სივრცე მხოლოდ ჰორიზონტალურად განივრცობა**. კულტურა კი ღირსეულს ნაკლებად ღირებულზე აღამაღლებს. ამ დაცემულ სამყაროში კი ორიენტირება მხოლოდ მაღალ-დაბალი „საფეხურების“ გამოა შესაძლებელი. ორიენტირად ხომ ამაღლებული და განსხვავებული ნიშანი გამოგვადგება, რომელიც სხვა ყველა დანარჩენს არ ჰგავს და ან მასთან არაა შერწყმული. იმ სამყაროში სადაც განსხვავებები არ არსებობს, ორიენტირიც არ მოიძებნება. ძნელი იქნება სიკეთის და ბოროტების განსხვავება. მასობრივი „კულტურა“ სწორედ ამ ვერტიკალურ ორიენტირებს შორისაა, რომელსაც წინ აუცილებლად ოჯახი, სკოლა და ეკლესია უნდა შეეწინააღმდეგოს. ადამიანს მხოლოდ კულტურის სივრცეში არ უწევს ცხოვრება და მოღვაწეობა. არსებობს რელიგიური მოღვაწეობაც, რომელიც ჩემის აზრით, უფრო აღმატებულია. შევაჯამოთ და შეგვიძლია ვთქვათ, რომ კულტურულ სივრცეში არსებობს იერარქიული წყობა, ხოლო კულტურა მთლიანობაში თავისი უმაღლესი სართულებით, მასზე აღმატებული სივრცის, რელიგიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. კულტურა, ადამიანის სრულყოფილებისათვის სწრაფვაში, ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს. **ხოლო, „კულტურათა დიალოგის“ ორომტრიალში ისე შეიძლება დაიკარგოს ადამიანი, რომ დაავიწყდეს მთავარი დიალოგი, რომლისთვისაც ის შეიქმნა, ეს დიალოგია ღმერთთან საუბარი – ლოცვა.** კულტურა საინტერესო და ძვირფასი რამაა, მაგრამ მისი პირობითობის დანახვა ყველას როდი ძალუძს. ადამიანის სულის ის მდგომარეობა, რომელიც კულტურის გარდა უფრო ძვირფას განძს ეძებს, ახლოსაა ღმერთთან. ასეთი გრძნობები ბადებენ ადამიანში რელიგიურ მოთხოვნილებებს. თუმცა, ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ რელიგიურ ადამიანს თითქოს სრულებით არ ესაჭიროება კინო ან თეატრი, როდესაც პიროვნება ღმერთს შეიცნობს და ნაწილობრივ დაშორდება ძველ გარემოს, გარკვეული დროის შემდეგ ის აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს მას. მან ძველ გარემოში უნდა მიიტანოს ღმერთთან ურთიერთობისა და ზიარების გამოცდილება. ასეთი პიროვნება უკეთესად აუხსნის, მათ ღმერთის შესახებ, რადგანაც მან მათი ენა იცის, პიროვნებას კი თავის ენაზე უნდა ესაუბრო და მისთვის ნაცნობი ხილული საგნებით გამოხატო უხილავი ღმერთი. ასეთ შემთხვევაში ნორმალური ურთიერთობა ყალიბდება ეკლესიასა და ხელოვნების სხვადასხვა დარგებს შორის.

ქრისტიანობაში ღმერთი ეძებს ადამიანს **„აჰა, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ, თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან“ (გამოცხ. 3_{20}). ღმერთის ძახილი „ადამ, სად ხარ?“** მთელ ბიბლიას გასდევს ფონად. **ხელოვნებაში ისე შეიძლება ჩაიძიროს ადამიანი, რომ მაღლა არც აიხედოს. იშრომოს, იწვალოს და ღმერთს ერთი ციდა საქმნელიც არ დაუტოვოს.** ქრისტიანობაში ადამიანი ღმერთს უბრუნებს მისსავე ნაბოძვარს, მაგალითად: მსხვერპლშეწირვისას ძღვენი ღვინო და პური ისევ ღვთის მოცემულია, ლოცვისას გაღებული გული, ღმერთის მიერ მოცემული და განათლებული. ხელოვნებაში ძირითადად ადამიანური ნაშრომი გვაქვს, ღმერთის ხელი კი ხშირად უგულებელყოფილია.

მიუხედავად ამისა, ეკლესიისა და ხელოვნების ურთიერთდაპირისპირება მაინც არ განიხილება. – ანტიკურ ხანაში თეატრი წარმართული კულტურის საყრდენი იყო. წარმართი ორატორი **ლიბანიოსი** იმპერატორ **იულიანე განდგომილს** 363 წელს წერს: **„თეატრში ღმერთებს მსხვერპლს სწირავენო, უამრავმა ადამიანმა თავისი შეხედულება შეიცვალა; თეატრში მხურვალე ტაშისცემის დროს ღმერთებს მოუხმობდნენ“** (722-ე წერილი).

ცხადია, სამართლიანი იყო საეკლესიო მამების გულისწყრომა იმ მაზიარებლების მიმართ, რომლებიც ჯერ ეზიარებოდნენ ქრისტეს სისხლსა და ხორცს, ხოლო შემდეგ, თეატრში განასახიერებდნენ ზევსის თაყვანისმცემელ ქალღმერთ **მინერვას**.

თეატრი იმ დროს წარმართული იყო და მკაცრად იცავდა თავის კანონსაც. თუ თეატრი ადრე ეკლესიის მოწინააღმდეგე იყო, დღეს იგი (და რა თქმა უნდა, მასთან ერთად კინოც) ქრისტიანული კულტურის დამცველად შეიძლება მოგვევლინოს. ასეთი თეატრი და კინო ვიცით ჩვენ სოციალიზმის ეპოქაში. ცხადია, არის ამ ხელოვნების იმ შტოს გამგრძელებლებიც, რომლებიც თეატრის კონსერვატიზმს (ძველ ტრადიციებს, უხამსობა, ძალადობა, ეროტიზმი) იცავენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვცხოვრობთ არა პირველ საუკუნეებში, არამედ XXI საუკუნეში, სადაც ქრისტიანულ კულტურას XV საუკუნოვანი ფენომენი გააჩნია. ხელოვნების ეს დარგები მოვალენიც არიან ეკლესიის მოკავშირენი გახდნენ, რადგანაც შექსპირი, ბრეხტი, ვაჟა იცავენ ქრისტიანულ მემკვიდრეობას პოსტმოდერნისტულ მწერლობას შორის.

ეკლესია და თეატრი (კინო) სხვადასხვა „სამყაროები“ არიან და რადგანაც ისინი განსხვავდებიან, ამიტომაც აუცილებელია მათ შორის დიალოგი. ვიმეორებ, **ეკლესია არ ეწინააღმდეგება თეატრს, მისთვის მთავარია თეატრისა და კინოს შედევრების შედეგად როგორი მსოფლმხედველობა უყალიბდებათ ადამიანებს.** თუმცა, ეკლესიამ უნდა გააფრთხილოს მსახიობი, რომ იგი განსაცდელის და ხშირად ცოდვის წინაშეც დადგება. თეატრსა და კინოში მუშაობა რისკთანაა დაკავშირებული. მსახიობი ხომ თავის პერსონაჟად „გარდაიქმნება“, მისი არამარტო გრძნობებით, არამედ ენებებითაც ცხოვრობს. ასეთი თამაშების დროს მას პიროვნების დაკარგვაც ემუქრება, როგორც ბუდისტ ბერს, რომელიც მედიტაციებით ცდილობს თავისი პიროვნების წაშლას.

ქრისტიანის მოღვაწეობა კი სიწმინდის დაცვაა. საკუთარი თავის ერთგულება, უფრო ზუსტად ჩვენ ერთგულნი ვართ იმისა, რაც კარგია ჩვენში. ეს კი საშუალებას გვაძლევს ღმერთი არ დაგვავიწყდეს, რადგანაც სიწმინდე ღმრთისგან მოგვეცა და მადლობის თქმაც არ უნდა დაგვავიწყდეს. ქრისტიანობა სვლაა იმ მწვერვალისკენ, რომლის დასაპყრობადაც თამაში არ გამოგვადგება. რა თქმა უნდა, ძალიან ცოტანი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არ თამაშობენ, ნიღაბს არ ეფარებიან, მაგრამ მისაღწევია ასეთი მდგომარეობა. წმინდანების მაგალითი წინ გვაქვს. უფრო რთულად აქვს საქმე მსახიობს, როცა იგი ცდილობს სხვისი გრძნობებითა და ენებებით იცხოვროს და ამავე დროს შეინარჩუნოს სიწმინდე. თუ მსახიობის პროფესია რისკთანაა დაკავშირებული უფრო მეტად ესაჭიროება მას ეკლესიის მხარდაჭერა, ხოლო თვითონ პირადი ღვაწლის გაწევაზე არ უნდა თქვას უარი.

კინოს და თეატრს შეუძლია ადამიანს სინანულის გრძნობა აღუძრას, ლოცვა დააწყებინოს, მაგრამ ამის გარდა არსებობს საიდუმლოებები, რომლის მოცემაც კინოს არ შეუძლია. **თეატრი ვერ შეძლებს ადამიანის ზიარებას. ეკრანიზაციებიც სხვადასხვანაირი არსებობს – კარგი და მდარე ხარისხის. კარგი შედევრი თავისებურად მისიონერადაც გამოდგება, თუ მაყურებელს მოყვასის სიყვარულს თუ თავდადებას ასწავლის. ხოლო თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ამოცანაა ადამიანმა კი არ იფიქროს, არამედ დაფიქრებულად მიიღოს რეკლამირებული პროდუქტი. ამ პირობებში ვინც დაგვეხმარება, რომ დინების საწინააღმდეგოდ ვიცუროთ, ჩვენი მოკავშირე იქნება, კინოს და თეატრს კი ამის გაკეთება შეუძლია.**

ბიბლიური სიუჟეტების გამოყენებაც შეიძლება ალბათ ხელოვნებაში, ძველად მოგვების მიერ ქრის-





ტეს თაყვანისცემის სცენები იდგმებოდა (ევროპაში ძირითადად). ბიბლიურ თემებზე პიესები, ლექსები და პოემები იწერებოდა. ხოლო ქრისტეს ღვთისმშობლის და ანგელოზების განსახიერება ალბათ არ შეიძლება. **ის, რაც ცოდვად ითვლება მართლმადიდებლური სწავლებით, შეიძლება ცოდვად არ შერაცხოს იმ კულტურამ, რომელშიც იდგმებოდა ესა თუ ის ფილმი ან სპექტაკლი. აუცილებლად უნდა განვასხვავოთ** რომელ ფილმშია ჩადებული აშკარა ღვთის გმობა და რომელში მსახიობის გულწრფელი თამაში (რომელსაც თავისი შინაარსით ხანდახან ღმერთის ძიებაც შეიძლება ვუწოდოთ), სადაც ის დარწმუნებულია, რომ თავისი ქმედებით არ არღვევს თავის ზნეობრივ თუ რელიგიურ პრინციპებს. წმინდა მამები, დაწყებული პავლე მოციქულიდან, თავის ქადაგებებში ხშირად იყენებდნენ წარმართულ ტექსტებს (როგორც ფილოსოფიურ, ისე მხატვრულს). მაგრამ, შეგნებული ანტიქრისტიანული „შედევრის“ გამოყენება კეთილი მიზნებისთვის ნამდვილად შეუძლებელია. მნიშვნელოვანია ავტორის ჩანაფიქრი ამა თუ იმ ფილმის, ან სპექტაკლისა. მაყურებელზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია წინასწარ იმის ცოდნას, ესა თუ ის ნაწარმოები არის თუ არა ანტიქრისტიანული ან ცოდვიანი. ამის გაგება ძნელი არ არის რეკლამიდან ან ახლობლებიდან, რომლებმაც უკვე ნახეს სურათი, ხოლო ფილმის ბოლომდე ნახვას კი არავინ დაგვაძალებს.

კიდევ ერთი მომენტი, ესა თუ ის ფილმი, რომელიც მდარე ხარისხის შეიძლება აღმოჩნდეს, ცუდ ზეგავლენას ვერ მოახდენს მოზარდზე, თუ ჩვენ მათთან ერთად ვნახავთ ამ სურათს და განხილვასაც მოვაწყობთ. ისიც უნდა ითქვას, რომ **როცა უყურებთ დღევანდელ სერიალებს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ადამიანს სხვა გამოსავალი არ გააჩნია – ან ფლიდი და გაიძვერა უნდა გახდე ,ან გამომძალველი და მატყუარა, ან კაცის მკვლელი. თითქოს პატიოსანი ცხოვრებით ვერ შეძლებ ვერაფრის მიღწევას. ე.ი. ასეთი ფილმები, არა მარტო ზნეობრივი, არამედ სოციალური მნიშვნელობითაც საშინელებაა.**

აქ უკვე ისმის კითხვა, რა „დოზით“ უნდა გავერთოთ ხელოვნებით რომ ცოდვად არ შეგვერაცხოს? ალბათ იქამდე, სანამ მაყურებელი არ დაიწყებს გმირის მსგავს თამაშს. უნდა ნახო სხვისი თამაში, მაგრამ შენ არ დაიწყო ის. XIV-XV ს.ს. ბიზანტიაში „თეატრად“ ინტელექტუალთა პაექრობის ადგილი იწოდებოდა. ასეთი სახის თეატრში წარმოდგენილი იყო რიტორიკული გამოსვლანი თუ დისპუტები. იმ დროს, გამომსვლელი თავისთავს განასახიერებდა და არა ლიტერატურულ გმირს, ე.ი. თეატრი თავისი ახალი მნიშვნელობით საკუთარ თავზე მუშაობის, საკუთარი აზრების წარმოჩინების ადგილი იყო. ხოლო დღევანდელი თეატრი საუკეთესო ქმნილებებით თითქმის იგივე მნიშვნელობისაა.

ხელოვნება თავის რეალობას ქმნის. რეჟისორმა უნდა გაითვალისწინოს ის, რომ მის გმირებს აუცილებლად მიბაძავენ, მათი ცხოვრებით იცხოვრებენ. იმის თქმა, რომ **„ფილმი სერიოზულად არ უნდა აღვიქვათ, ეს ხომ მხოლოდ გართობაა“** – არასწორია. ამა თუ იმ გმირის შექმნა უკვე პედაგოგიური აქტია, ეს უკვე ე.წ. ქადაგებაა. ფილმების (სპექტაკლების) მიხედვით მოზარდები თავიანთი ცხოვრების კორექტირებას ახდენენ, **„სწამთ რაც ფილმებია გადმოცემული და სუსტნი, ჯერ ჩამოუყალიბებელი ახალგაზრდები ადვილად ექცევიან მის ზეგავლენის ქვეშ. ხშირად მისით ცხოვრობენ.**

კინო მეტად ეფექტური საშუალებაა და ალბათ აჯობებს ღირებული მიზნებისთვის გამოვიყენოთ. ჩვენი პრეტენზია, ცხადია გმირის როლის მიმართ კი არ გაისმის, არამედ იმისკენ თუ ამ როლს როგორ და რისთვის გვაწვდიან. ალბათ ზოგი რეჟისორი ნაკლებად ფიქრობს იმაზე, თუ მისი ფილმის ნახვის შემდეგ ჩვენი თინეიჯერები რას მოიმოქმედებენ, მათ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ჩვენი მოზარდების სულიერი მდგომარეობა, მათი სისუსტეები. ჩვენი ვალია ამა თუ იმ სურათის მიერ გამოწვეული რეზონანსის „ჩახშობა", ახსნა-განმარტების მიცემა იმაზე, რა მიზნითაც შეიქმნა ესა თუ ის სურათი. არის ისეთი ფილმებიც, რომლის მინუსი ის არის, რომ მათში კარგ რამეს ვერ იპოვი. მსახიობებში სინდისის ქენჯნას ვერ დაინახავ. მათი რეაგირება ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენაზე ნულის ტოლფასია.

უამრავი ფილმია ქრისტეზე გადაღებული და კიდევ ბევრს გადაიღებენ. ბევრი მათგანი, არა როგორც საღვთისმეტყველო ნაშრომი, არამედ როგორც ფილმი საინტერესოა. ზოგში პილატეა კარგად წარმოდგენილი, ზოგშიც ქრისტეს მდევნელები. ზოგი ფილმი კი ესთეტიკური კუთხითაა მშვენიერი, ზოგ ფილმში ქრისტეს ტანჯვაზეა გამახვილებული ყურადღება. ასეთი ფილმების ნახვისას ალბათ, აღარ გვექნება პრეტენზია ზოგჯერ ხელოვანი ჯვარცმულად რომ ვაღიაროთ.

ბიბლიის სიუჟეტიანი ფილმები მაშინ ახდენენ მაყურებელზე უარყოფით გავლენას, თუ მათ წიგნები არ აქვთ წაკითხული, ან თუ ბიბლიური ამბების შესახებ კომპეტენტური პირებისგან არ სმენია, ხოლო ფილმებში ბევრი რამ ისტორიული, თუ დოგმატური დარღვევებია გადმოცემული. ზოგ მაყურებელს ასეთი ეკრანიზაციები პირველწყაროს გასაცნობად უბიძგებენ, ზოგისთვის კი დამაკმაყოფილებელიცაა: **„სიუჟეტი ჩემთვის ცნობილია, ალბათ საჭირო არაა კითხვისთვის დრო დავკარგო!"** მაყურებელმა კი უნდა იცოდეს, რომ სახარების ქრისტე და ფილმის ქრისტე ერთი და იგივე არაა.

ჩვენ ნამდვილად არ ვაყენებთ შეურაცხყოფას ამა თუ იმ ფილმს ქრისტეზე გადაღებულს და როგორ უნდა შევხედოთ მათ, ისიც აღვნიშნეთ. ჩვენი მხრიდან ისიც არ იქნება სწორი, თუ ფილმს წავუყენებთ საღვთისმეტყველო ტრაქტატის პრეტენზიას. ჩვენის აზრით, არსებობს ლიტერატურული ხატიც. ნებისმიერი მქადაგებელი მსმენელში ქრისტეს ხატს „ხატავს". ეს ხატი შეიძლება „კანონიკურიც" იყოს, შეიძლება არც გამოუვიდეს, მაგრამ მათგან ცხადია არც ერთს არ აქვს უფლება მოციქულთა მიერ შექმნილი ქრისტეს ხატის შეცვლისა.

არსებობს სულიერი ხატი და გამიწიერებული, თითქმის სურათად ქცეულიც, ე.ი. ყველა ხატს არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია საეკლესიო ხატის სტატუსზე. ფილმის შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის (შეიძლება ხატის ხატად ვაღიაროთ, ან) ხატის წინა საფეხურია. **იოანე ოქროპირის** ქადაგებას, ალბათ დღევანდელი ჩვენი სულიერი მდგომარეობიდან ვერ გავიმეორებთ, მაგრამ ჩვენს ქადაგებასაც შეუძლია სარგებლის მოტანა. დღევანდელი ადამიანისთვის კინოს და თეატრის გარემოება სავსებით მისაღებია და სასარგებლოც. ხალხურ სიმღერებს (ქრისტიანული შინაარსითაც) არავინ იმღერებს ტაძარში. ხოლო ისინი მისაღები იქნება სკოლებში და სუფრებზეც. მართლმადიდებელს აქვს უფლება უყვარდეს ბეთჰოვენის მუსიკა, რომელსაც არასოდეს გამოიყენებს ეკლესიაში. ე.ი. ხელოვნებას თავისი ადგილი აქვს სამყაროში, რომლის განსაზღვრა ალბათ ბევრს უჭირს.

ჩვენი აზრით, **მართლმადიდებლებს აქვთ უფლება მოისმინონ და მოიწონონ კიდეც არაეკლესიური მუსიკა თუ მხატვრობა, ოღონდ უფლის ადგილი არავინ არ უნდა დაიკავოს. წიგნების კარადაში სახარების გვერდზე ქრისტიანს შეუძლია თამამად ჰქონდეს კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებიც, მაგრამ ძნელად წარმოსადგენია მონასტერი და ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი სურათი.** ბერები უფრო მეტი მოღვაწეობით და თავშეკავებით ცხოვრობენ და მათი მკაცრი ცხოვრების წესით ერში ყველა ვერ იცხოვრებს. თუ ადამიანი თაბორის მთის მწვერვალზე არ იმყოფება და მასზე ფილმმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა – მისი აზრები მიწიერ ყოფას მოწყვიტა და საკუთარ თავზე სერიოზულად ჩააფიქრა, უკვე კარგის ნიშანია.

საერო კულტურას აქვს პოტენცია ერში კეთილი თესლი დათესოს. მას მაშინ აქვს დიდი მნიშვნელობა, როცა ქვეყანაში სულიერება კლებულობს ან საერო ხელისუფლება ემტერება ეკლესიას. ამის ბრწყინვალე მაგალითია სოციალიზმის ხანის ჩვენი მწერლობა, კინო და მუსიკა. ქრისტიანობის გასავრცელებლად ხელოვნების ნებისმიერი სტილი გამოიყენება, თუ მასში ხელოვანი ქრისტეს ერთგულებას გამოიჩენს, სათნოებაა.